პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება სოციალური მომსახურებების განვითარებისათვის

განხორციელების ვადა: 01.02.2021 - 01.03.2024

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 879 541

მთლიანი ბიუჯეტი: € 977 268

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ები):
Association Anika

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/AssociationAnika, ,

პროექტის ვებსაიტები: anika.ge

პროექტის აღწერა:

პროექტი "სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება სოციალური მომსახურებების განვითარებისათვის" ეხმიანება საქართველოს მთავრობის მიერ აღებულ ვალდებულებას განახორციელოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები ინკლუზიური გარემოს დანერგვისა და ხარისხიანი სოციალური მომსახურებების მიწოდების გზით.

სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა სოციალური მომსახურების მიწოდებაში, ადვოკატირებასა და ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე პოლიტიკის შემუშავებაში მნიშვნელოვანი პირობაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების განხორციელებისათვის.

პროექტის განმავლობაში განხორციელდება შემდეგი აქტივობები: საქართველოში არსებული სოციალური სერვისების შესაფასებელი კვლევა, მოთხოვნაზე და უფლებებზე დაფუძნებული ახალი სოციალური მომსახურების შემუშავება და პილოტირება საქართველოს 4 რეგიონში, 4 ქვე-გრანტის გაცემა საპილოტე მომსახურებების განსახორციელებლად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების თანამშრომლებისათვის ტრენინგების ჩატარება, სატრენინგო მოდულების და მასალების შემუშავება, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით სოციალური მომსახურებების ეროვნული სტრატეგიის შემუშავება და სხვა.

მოსალოდნელი შედეგები:

- გაძლიერებულია სს ორგანიზაციების შესაძლებლობები, გაზრდილია მათი ჩართულობა შშმ პირთა სოციალურ მომსახურებებზე თანაბარი წვდომის უზრუნველყოფის პროცესში;

- გაუმჯობესებულია სს ორგანიზაციების ცოდნა და უნარები, რაც შშმ პირთათვის ხარისხიანი სოციალური მომსახურების მიწოდების საწინდარია;

- სს ორგანიზაციები მონაწილეობენ სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ეფექტური, გენდერ-სენსიტიური და ინკლუზიური სოციალური მომსახურებების ეროვნული სტრატეგიის შემუშავების პროცესში.